

ქალაქ ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №19

2016 წლის 16 დეკემბერი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-80 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (30/12/2015 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების I თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	117242.4	112169.8	139449.8		139449.8
გადასახადები	13937.5	18350.0	35000.0		35000.0
გრანტები	76387.1	63756.3	71733.7		71733.7
სხვა შემოსავლები	26917.8	30063.5	32716.1		32716.1
ხარჯები	71679.8	80013.7	87875.2		87875.2



შრომის ანაზღაურება	8489.4	18219.7	21150.1		21150.1
საქონელი და მომსახურება	15768.0	28776.0	30098.1		30098.1
პროცენტი	2548.4	2666.7	3186.7		3186.7
სუბსიდიები	30462.5	16495.3	12284.3		12284.3
გრანტები		5.0	1410.0		1410.0
სოციალური უზრუნველყოფა	4253.2	5514.0	6790.3		6790.3
სხვა ხარჯები	10158.3	8337.0	12955.7		12955.7
საოპერაციო სალდო	45562.6	32156.1	51574.6		51574.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	25248.6	50270.7	51610.7		51610.7
ზრდა	25611.2	51570.7	56380.7		56380.7
კლება	362.6	1300.0	4770.0		4770.0
მთლიანი სალდო	20314.0	-18114.6	-36.1		-36.1
ფინანსური აქტივების ცვლილება	12224.9	-28167.0	-13429.9		-13429.9
ზრდა	12224.9	2029.0	93.4		93.4
ვალუტა და დეპოზიტები	12224.9				
აქციები და სხვა კაპიტალი		2029.0	93.4		93.4
კლება		30196.0	13523.3		13523.3
ვალუტა და დეპოზიტები		30196.0	13523.3		13523.3
ვალდებულებების ცვლილება	-8089.0	-10052.4	-13393.8		-13393.8
კლება	8089.0	10052.4	13393.8		13393.8
საშინაო	8089.0	10052.4	13393.8		13393.8



ბალანსი	0	0	0	0	0
---------	---	---	---	---	---

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	117605.0	113469.8	144219.8		144219.8
შემოსავლები	117242.4	112169.8	139449.8		139449.8
არაფინანსური აქტივების კლება	362.6	1300.0	4770.0		4770.0
გადასახდელები	105380.0	143665.8	157743.1		157743.1
ხარჯები	71679.8	80013.7	87875.2		87875.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	25611.2	51570.7	56380.7		56380.7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)		2029.0	93.4		93.4
ვალდებულებების კლება	8089.0	10052.4	13393.8		13393.8
ნაშთის ცვლილება	12224.9	-30196.0	-13523.3		-13523.3

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 139,449.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
შემოსავლები	117242.4	112169.8	139449.8
გადასახდელები	13937.5	18350.0	35000.0
გრანტები	76387.1	63756.3	71733.7



სხვა შემოსავლები	26917.8	30063.5	32716.1
------------------	---------	---------	---------

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
11	გადასახადები	13937.5	18350.0	35000.0
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე			21000.0
1111	ფიზიკური პირებიდან			21000.0
11111	საშემოსავლო გადასახადი			21000.0
113	გადასახადები ქონებაზე	13936.5	18350.0	14000.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	13936.5	18350.0	14000.0
11311	ქონების გადასახადი	13936.5	18350.0	14000.0
113111-113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11366.5	16130.0	12430.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	861.8	920.0	520.0
113114-113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1698.2	1300.0	1050.0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	10.0		
116	სხვა გადასახადები	1.0		

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 71,733.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
13	გრანტები	76387.1	63756.3	71733.7
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	76387.1	63756.3	71733.7



	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	76387.1	54481.3	55733.7
133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	59938.6	54481.3	55733.7
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	52542.3	52542.3	33642.3
1331113	სპეციალური ტრანსფერი	7256.4	1000.0	
	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	7256.4	1000.0	
	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	7256.4	1000.0	
1331114	სხვა სპეციალური ტრანსფერი	139.9	939.0	22091.4
1332112	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	16448.5		
	კაპიტალური დანიშნულების გრანტები		9275.0	16000.0
1332122	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		9275.0	16000.0

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 32,716.1 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	26917.8	30063.5	32716.1
141	შემოსავლები საკუთრებიდან	3243.4	2995.0	1450.0
1411	პროცენტები	2639.4	2170.0	725.0
1415	რენტა	604.1	825.0	725.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	102.2	200.0	100.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	501.9	625.0	625.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16340.6	21250.0	26050.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	16334.3	21250.0	26050.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	444.9	350.0	400.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	444.9	350.0	400.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.9		
	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების			



142212	მოსაკრებელი	5.0		
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	13644.9	17900.0	22300.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1270.1	2000.0	2000.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	943.5	1000.0	1350.0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	24.0		
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	6.3		
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	6.3		
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	6.3		
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	4871.8	4350.0	4000.0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2462.0	1468.5	1216.1

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 87,875.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
2	ხარჯები	71679.8	80013.7	87875.2
21	შრომის ანაზღაურება	8489.4	18219.7	21150.1
22	საქონელი და მომსახურება	15768.0	28776.0	30098.1
24	პროცენტი	2548.4	2666.7	3186.7
25	სუბსიდიები	30462.5	16495.3	12284.3
26	გრანტები		5.0	1410.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	4253.2	5514.0	6790.3
28	სხვა ხარჯები	10158.3	8337.0	12955.7



მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 51,610.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 56,380.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	395.6	998.7	834.9
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება			
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	21398.9	40993.2	47776.5
04 00	განათლება	2071.8	4163.9	2861.6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1676.6	5368.4	4634.2
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	68.3	46.5	273.5
სულ		25611.2	51570.7	56380.7

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 4,770.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	362.6	1300.0	4770.0
311	ძირითადი აქტივები	0.4	300.0	300.0
314	არამწარმოებლური აქტივები	362.1	1000.0	4470.0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 144,255.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)



კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
7	სულ	97291.0	131584.4	144255.9
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13892.1	12478.0	14377.3
7011	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11254.1	9795.2	10442.5
70111	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	11228.8	9095.2	9503.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	25.3	700.0	939.2
7013	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები			
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება			
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2548.4	2666.7	3904.8
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	89.7	16.1	30.0
702	თავდაცვა	30.2	17.5	25.0
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	30.2	17.5	25.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება		1826.0	
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური		1826.0	
704	ეკონომიკური საქმიანობა	26699.3	24498.6	35718.2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1466.3		
70421	სოფლის მეურნეობა	1466.3		
7045	ტრანსპორტი	24275.0	22647.5	32684.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	23907.7	22647.5	32684.0
70452	საზღვაო ტრანსპორტი	367.3		
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	415.9	239.5	



70473	ტურიზმი	415.9	239.5	
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	542.1	1611.6	3034.2
705	გარემოს დაცვა	9015.8	17627.4	9861.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	6666.4	6734.7	7387.7
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2349.4	10892.7	2473.6
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	16071.8	26453.4	35533.3
7061	ბინათმშენებლობა		1700.0	4289.8
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	8667.7	8626.8	12248.9
7063	წყალმომარაგება	3589.3	9555.5	13713.4
7064	გარე განათება	3224.0	4153.4	3871.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	590.8	2417.7	1409.8
707	ჯანმრთელობის დაცვა	1714.2	2816.4	3306.5
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	195.9	269.0	315.6
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	195.9	269.0	315.6
7072	ამბულატორიული მომსახურება	128.5	146.1	107.7
70722	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება	128.5	49.4	23.7
70723	სტომატოლოგიური მომსახურება		96.7	84.0
7073	საავადმყოფოების მომსახურება	261.2	328.2	626.6
70732	სპეციალიზებული საავადმყოფოების მომსახურება	201.3	239.7	409.7
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	59.9	88.5	216.9
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	826.2	849.1	961.6
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	302.4	1224.0	1295.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	14261.3	26028.8	23841.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	9305.8	16033.5	17390.1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	4644.2	9771.1	6152.9



7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	311.3	224.2	298.2
709	განათლება	11013.8	14506.7	14235.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	10997.9	14424.2	14074.0
7092	ზოგადი განათლება	4.8		
70922	საბაზო ზოგადი განათლება	4.8		
7094	უმაღლესი განათლება		52.5	101.0
70942	უმაღლესი აკადემიური განათლება		52.5	101.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	11.1	30.0	60.0
710	სოციალური დაცვა	4592.6	5331.6	7358.1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	22.1	54.7	
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	22.1	54.7	
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	629.1	647.9	
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	957.0	1394.2	1815.6
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	2295.4	3234.8	5542.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	689.0		

მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -36.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 13,429.9 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 13,523.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის	2015 წლის	2016 წლის
------	------------	-----------	-----------	-----------



		ფაქტი	გეგმა	გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	12224.9	-28167.0	-13429.9
	ზრდა	12224.9	2029.0	93.4
321	საშინაო	12224.9	2029.0	93.4
3212	ვალუტა და დეპოზიტები	12224.9		
3215	აქციები და სხვა კაპიტალი		2029.0	93.4
	კლება		30196.0	13523.3
321	საშინაო		30196.0	13523.3
3212	ვალუტა და დეპოზიტები		30196.0	13523.3

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 13,393.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 13,393.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-8089.0	-10052.4	-13393.8
	კლება	8089.0	10052.4	13393.8
331	საშინაო	8089.0	10052.4	13393.8

ბ) დადგენილების II თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი II

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები



განისაზღვროს ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

1

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს განვითარებული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს, გარდა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა, განსაზღვრავს ისეთი გარემოებები, როგორცაა მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურის, შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის, ეფექტური და ეფექტიანი კომუნალური სისტემის, ეკოლოგიური გარემოს ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების, მოსახლეობისათვის შესაბამისი საცხოვრებელი გარემოსა და პირობების შექმნისა და გაუმჯობესების მიზნით, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია განისაზღვრა როგორც ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

1.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა.

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

1.1.1

არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ბაგრატიონისა და ერისთავის ქუჩების რეკონსტრუქცია (ვაჟა-ფშაველას ქუჩიდან გოგოლის ქუჩამდე);

აღმაშენებლის და ტბელ აბუსერიძის ქუჩების, აღმაშენებლის და გენ. ა. აბაშიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის (ქუჩების) კეთილმოწყობის სამუშაოები;

მწვანე კონცხის დასახლებაში ბოტანიკურ ბაღთან მისასვლელი ქუჩების გაფართოება;

მწვანე კონცხის დასახლებაში ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ფრიდონ ხალვაშის II ჩიხის კეთილმოწყობა, აეროპორტის ადმინისტრაცია;

მარეთის ქუჩის კეთილმოწყობა, აღმაშენებლის ადმინისტრაცია;

კონცელიძის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია და კონცელიძის ქუჩის №19-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

იმერხევის ქუჩის კეთილმოწყობა;

ოშკის ქუჩის კეთილმოწყობა;

შატბერდის ქუჩის კეთილმოწყობა;

გზის პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება;

თამარ მეფის გამზირის №10-დანა №42-მდე ბორდიურების მოწყობის სამუშაოები;

კომახიძის I შესახვევის კეთილმოწყობის სამუშაოები;

1.1.2

მამია ვარშანიძის ქუჩის №29-ში მდებარე №28 საჯარო სკოლის შესასვლელ ხიდზე და ნიკო მუსხელიშვილის



3105-სა და №64-ს შორის არსებულ საავტომობილო ხიდებზე მოაჯირების მოწყობის სამუშაოები;

გოგებაშვილის (ბაქოს) ქუჩის მონაკვეთის (ჭავჭავაძედან შავშეთამდე) კეთილმოწყობა;

იოანე მესხის ქუჩის მონაკვეთის (№60-№66) კეთილმოწყობა;

მარეთის I ჩიხის კეთილმოწყობა;

დ. თავდადებულის ქუჩის მონაკვეთზე (№6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წინ) ტროტუარის მოწყობა;

მ. ვარშანიძის ქ. N43-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა;

ქ. ბათუმი ხახულის ქუჩის 2 შესახვევი სახლი №10-ის მიმდებარედ საყრდენი კედლისა და ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები;

მუხრან მაჭავარიანის №102-თან ხიდის მოწყობა;

ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია;

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი;

ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის მეორე ეტაპი;

პუშკინისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების დამაკავშირებელი ახალი ქუჩის მოწყობა;

'სტიქის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები;

გზებისა და ქუჩების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

1.2

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა;

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა (პროგრამული კოდი 03 02 01)

1.2.1

საგზაო მოძრაობის ორგანიზება;

პარკირების სერვისის ორგანიზება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

1.2.2

მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 02)

შპს "ბათუმის ავტოსატრანსპორტის" სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა).

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები::

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;

1.3

- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის

პროექტის თანადაფინანსება;

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა;

- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;

- ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება.



სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია;

1.3.1 ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქცია; ზ. გორგილაძის ქუჩაზე (გრიბოედოვის ქუჩიდან ლერმონტოვის ქუჩამდე) სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები;

'სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები;

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა.

1.3.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გამრიცხველიანება (ინდივიდუალური წყალმზომების დაყენება);

ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის ქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქალაქის დასუფთავება;

1.3.4

ნარჩენების გატანა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარიული მომსახურება.

გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია;

1.3.5

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დაფარვა;

სკვერების დეკორატიული განათების სამუშაოები;

გარე განათების ახალი ობიექტების ელ. ენერჯის ქსელში ჩართვა;

ქუჩების განათების სამუშაოები.

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 03 06)

1.3.6

პროექტის ფარგლებში დღგ-ის და სხვა გადასახადების თანადაფინანსება;

შპს „ბათუმის წყლის“ სუბსიდირება;

KfW ბანკთან გაფორმებული განსაკუთრებული შეთანხმების შესაბამისად პროექტის დამატებითი თანადაფინანსება.

1.3.7

ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 03 03 07)

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება;

ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები::

1.4

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

- სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა;

- ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი;

- ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდი



ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის მშენებლობა;

1.4.1

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

ზუბალაშვილის ქ.№39-ის მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობა.

ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 02)

1.4.2

სამობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

ქიული შარტვას ბიუსტის დამზადება მონტაჟი;

სავაჭრო ჯიხურების შექმნა.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 03)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები

1.4.3

სეზონური ყვავილების შექმნა-დარგვა;

ხე-მცენარეების შექმნა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა (პროგრამული კოდი 03 04 04)

ადმინისტრირება და მართვა;

1.4.4

'ინკლუზიური ტურიზმის მეოთხე საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება;

სარეკრეაციო (მ.შ. ტურისტული დანიშნულების) ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და განვითარება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

1.4.5

ა(ა)იპ – ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 04 05)

მცენარეთა კოლექციის მოვლა-პატრონობის, შევსების, განახლებისა და კონსერვაციის ღონისძიებები;

ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა;

სერვისების განვითარება და მარკეტინგული ღონისძიებები;

შეხვედრებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება და ორგანიზება;

ეკოსაგანმანათლებლო და კულტურულ შემეცნებითი პროექტები;

ბოტანიკური ბაღის სახელობის სტიპენდიის გაცემა;

ბოტანიკური ბაღის ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება;

მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლება.



1.4.6

საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 03 05)

1.5

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა;
- ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 05 01)

1.5.1

საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულება;

საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი (პროგრამული კოდი 03 05 02)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკუთრებაში არსებული საზოგადო მოხმარების ინფრასტრუქტურის შეკეთება (სარემონტო მასალების შესყიდვა);

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (ხელსაწყოების შეძენა);

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავების შეკეთება-მოწყობა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების შეკეთება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების არსებული ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტის მონტაჟი;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ფანჯატურის შეძენა - შეტანა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის სკამების შეძენა-შეტანა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის შადრევნის შეძენა-მონტაჟი;

1.5.2

არსებული ატრაქციონების მოვლა-პატრონობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ასფალტის დაგება;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ფილების დაგება;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში ბორდიურების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში კორდის მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერის მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სენსორული განათების მოწყობა;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტროსაკეტების მოწყობა;

ქალაქში არსებული ავარიული სახლების, შენობა-ნაგებობების აღდგენა- შეკეთება, გამაგრება-რეაბილიტაცია;

რუსთაველის ქუჩაზე შენობების ფასადების შეღებვა;



საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი;

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

1.6

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

- მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა.

მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 06 01)

სასაფლაოების მიმდინარე მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;

1.6.1

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

შემოერთებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 06 02)

1.6.2

ჩაქვში ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა;

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

1.7

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

- საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07 01)

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების სამშენებლო - სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სანიაღვრე არხების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

საბავშვო ბაღების შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გარე განათების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სასპორტო ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

1.7.1

კულტურული დანიშნულების ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ლიკვიდაციისათვის განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების კონცეფციის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ე.წ. ბარცხანის ხიდის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;

ე. წ. ბარცხანის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

პროექტების ექსპერტიზა.



საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 07 02)

აეროპორტის დასახლებაში ახალი ბულვარის მოპირდაპირედ ახალი ქუჩების მშენებლობის ზოლში კერძო მესაკუთრეებზე მიწის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გაცემა;

ლერმონტოვის ქ. №102-ში მდებარე ავარიული სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს მოქალაქეთა ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა;

1.7.2

მაიაკოვსკის ქ. №55/24-ში მდებარე ავარიული სახლის დემონტაჟის და ახალი სახლის მშენებლობის სანაცვლოდ მოქალაქეთა საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა;

შავი ზღვის სანაპირო ზოლის გასამაგრებელი სამუშაოების ფარგლებში სანაპირო ზოლის გამაგრების პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის ზღვისპირა ზოლში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შპს “ბამბა ბათუმთან” 2011 წლის 25 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით ვადამდე შეწყვეტის და მისგან გამომდინარე აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული, შპს “ბამბა ბათუმის” საკუთრებაში არსებული შენობის ღირებულების 2/3-ს ღირებულების ანაზღაურება;

ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და კეთილმოწყობითი სამუშაოების განხორციელების მიზნით ექსპორპრიაციის განხორციელებისათვის ქონების მესაკუთრეებზე კომპენსაციების გაცემა.

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება განათლების სისტემის საბაზისო, პირველ საფეხურს წარმოადგენს, რომლის ხელმისაწვდომობისათვის სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

2

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

გარდა სკოლამდელი განათლების მიწოდების უზრუნველყოფისა, ქალაქის განვითარების პრიორიტეტი უმაღლესი განათლების მხარდაჭერაა, რაც მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების შესაბამისად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადებისა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდის თვალსაზრისით.

სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

2.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

საბავშვო ბაღების მართვა-აღმინისტრირება;

2.1.1

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ;

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (გადამზადება);

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

ურების დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ;

2.1.2

წერეთლის ქუჩა №30-ში მდებარე №12 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი;

მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე №5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო-დაშენების სამუშაოები.

საბავშვო ბაღის შენობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:



2.2

- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემა წარმატებული სტუდენტებისათვის.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)

2.2.1

უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა;

ადგილობრივ და საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)

2.2.2

2015-2016 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა;

2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა;

საინფორმაციო რგოლის დამზადება.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურის მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია ცვალებადი და აქტიური პროცესია. ის თავის თავში მოიცავს ისეთ განსხვავებულ ასპექტებს, როგორცაა მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, ჩვეულებები, რიტუალები, სიმბოლოები. კულტურა, როგორც ინსტიტუციონალური სფერო, ფორმირდება სხვადასხვა საქმიანობისთვის განკუთვნილ ინსტიტუტთა ჯგუფებისგან, როგორცაა: ხელოვნება, თეატრი, ლიტერატურა, რელიგია, მედია და განათლება. ქალაქის ეკონომიკური განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტთა ფუნქციონირების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების, ქალაქის კულტურული პოტენციალის პოპულარიზაციისა და მოქალაქეებისათვის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის, კულტურის პროდუქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3

„ევროპის სპორტის ქარტიისა და სპორტული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად, სპორტი გულისხმობს არარეგულარული ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება და ყველა დონის შეჯიბრებებზე შედეგების მიღწევა. „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში“ აღნიშნულია, რომ ქვეყანაში მაღალია არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებელი (ჰარბონიანობა, გულსისხლძარღვთა დაავადებები, სკოლიოზი და კიფოზი მოზარდებში), ასევე დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებელი. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მოსახლეობაში ფიზიკური აქტივობისა და სპორტული განათლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე. მოსახლეობის სპორტით დაინტერესების პარალელურად, მნიშვნელოვანია სპორტის არსებული ტრადიციების განვითარება, სპორტული კლუბების დაფუძნებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა, შესაბამის ტერიტორიებზე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;
- ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;

3.1

- ა(ა) იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“;
- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ა(ა) იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“;
- ა(ა) იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი;
- ა(ა) იპ „ბათუმის ავტოდრომი“;
- ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა.

საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 01)



რუსუდან სიხარულიძის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში;

საერთაშორისო ტურნირი ბილიარდში;

საერთაშორისო ტურნირი ტაეკვანდოში;

მუხრან ვახტანგაძის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;

საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ. ალთაბაევის თასზე;

საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე;

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში;

საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში;

3.1.1 ტურნირი ჩოგბურთში მოზარდებს შორის მერიის თასზე;

გ. მენაბდის სახელობის ტურნირი ფეხბურთში;

საერთაშორისო ქალთა ტურნირი ჩოგბურთში „BATUMI LADIES OPEN“;

ადმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (ELVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში;

საერთაშორისო საწვრთნელი სემინარი-ჩემპიონატი შოტოკან კარატე;

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში;

საერთაშორისო ტურნირი "ბათუმი-ცანა-ქოლგიანი დელფინი";

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის რაგბში;

მას-რესლინგის ევროპის ჩემპიონატი;

საერთაშორისო ტურნირი ადმოსავლურ ორთაბრძოლებში; საერთაშორისო ტურნირი ქალთა საპლაჟო ფეხბურთში.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

შპს – სარაგბო კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება

შპს – ფრენბურთის კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;

3.1.2

შპს – საკალათბურთო კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;

შპს – წყალბურთის კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;

შპს – ხელბურთის კლუბის „ბათუმი“ სუბსიდირება;

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

3.1.3

ბათუმელი სპორტსმენების ფინანსური მხარდაჭერა;

წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან;

სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04)

ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის დასრულება;

3.1.4

სპორტული მინისტრადინების კაპიტალური შეკეთება;

სპორტული ტრენაჟორის შექმნა - მონტაჟი;

ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 05)



ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრის ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურის მართვა;

3.1.5

სპორტული ცენტრის ბაზაზე სპორტული სექციების განვითარება;

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება;

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება;

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 06)

ეზოს ფეხბურთი;

ბათუმობის დღესასწაულთან მიმდევნილი გარბენი;

3.1.6

საერთაშორისო სპორტის დღისადმი მიმდევნილი ველომარათონი;

Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო გათამაშება;

ვეტერანებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობა ტურნირების ორგანიზება;

საჯარო უწყებებს შორის ფეხბურთში ტურნირი.

ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 07)

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;

3.1.7

ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

ა(ა)იპ – ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 08)

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;

3.1.8

სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;

ცხენებისათვის საკვები მარაგების შექმნა და სამედიცინო მომსახურება;

სპორტული ცხენის შექმნა;

ა(ა)იპ – ბათუმის ავტოდრომი (პროგრამული კოდი 05 01 09)

3.1.9

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;

შიგა სატურნირო მივლინებები (მივლინებები შეჯიბრზე და საწვავის ხარჯი, სარბოლო ავტომობილების ტრანსპორტირება);

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 10)

3.1.10

ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსება;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;

3.2

- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა;

- ხელოვანთა ხელშეწყობა;

- ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრი;

- ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;

საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 01)



კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა;

საავტორო კინოს ბათუმის XI საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა;

ბათუმის ანიმაციური ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამის მხარდაჭერა;

3.2.1

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის მხარდაჭერა;

კინო და ტელე ოპერატორების სართაშორისო ფესტივალი;

მოდის საერთაშორისო კვირეული;

ადამი - მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისთვის აღმოსავლეთ ევროპაში.

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 02)

3.2.2

კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება;

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

3.2.3

დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით კომისიური წესით შერჩეულ ბენეფიციართა დაფინანსება;

ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ცენტრის ბაზაზე არსებული კულტურული კოლექტივების მართვა;

საინფორმაციო-სარეკლამო ღონისძიებები (კულტურის ცენტრის ვებსაიტის, აუდიო-ვიდეორგოლების შექმნა);

3.2.4

საერთაშორისო და საქართველოს მასშტაბით კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

დიასპორების ხელშეწყობის ღონისძიებები;

ა(ა)იპ – აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-აღმინისტრირება;

3.2.5

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები;

ბეჭდური გამოცემების შექმნა, წიგნადი ფონდის შევსება-განახლება;

ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

მემორიალების პროექტების შედგენა (პროგრამული კოდი 05 02 06)

3.2.6

რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის პროექტი;

9 აპრილის გმირთა მემორიალის პროექტი.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

3.3

- ახალგაზრდული ცენტრის შექმნა;

- ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;

- სტუდენტური საზაფხულო დასაქმება.

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 03 01)

ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა



ცენტრის სანიტარიულ-ჰიგიენური მოვლა-პატრონობისა და კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა;

საკანცელარიო საქონელი;

3.3.1

სარეკლამო საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფა;

შეხვედრების, სემინარების და ტრენინგების ორგანიზება;

ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა;

შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა;

წლის ბოლოსათვის შემაჯამებელი კონფერენციის ორგანიზება.

ინტელექტუალური და შექმნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 02)

3.3.2

ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“

ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“

სტუდენტური საზაფხულო დასაქმება (პროგრამული კოდი 05 03 03)

3.3.3

სტუდენტური დასაქმების ორგანიზება-კოორდინაცია;

სტუდენტებისათვის კეპების და მაისურების შექმნა;

სტუდენტთა შრომის ანაზღაურება;

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

4

საზოგადოების ჯანმრთელობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. მოსახლეობის ავადობა და სიკვდილიანობა უარყოფითად მოქმედებს როგორც ადამიანური რესურსების მწარმოებლურობაზე, ისე ეკონომიკურ განვითარებაზე. მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობის გარკვეული ფენისათვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით გაგრძელდება იმ დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის სხვადასხვა ღონისძიებების, ასევე სოციალურად დაუცველი ფენისა და შ.შ.მ. პირებისათვის იმ სერვისების დაფინანსება, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;

- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა;

- ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა;

- ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;

- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;

- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება;

4.1

- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;

- ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა;

- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;

- სანიტარიული დაცვის ღონისძიებები;

- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარიული მონიტორინგი;



- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;
- ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება.

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ეპილევსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

4.1.1 მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის მატერიალური დახმარება;

18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულთა მატერიალური დახმარება;

პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 02)

35-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოთ ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია;

4.1.2 ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკომარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით;

25-დან 70 წლამდე ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და ექსკოპია;

საშვილოსნოს ყელის დაზიანების (დისპლაზიის, ექტოპიის) ოპერაციული მკურნალობა;

ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 03)

4.1.3 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა თანდაყოლილი ამოვარდნილობის და დისპლაზიის მკურნალობა;

ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)

4.1.4 ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;

მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 05)

4.1.5 სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;

18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის ბავშვების სტომატოლოგიური, ორთოდონტული და ორთოპედიული მომსახურება;

C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 06)

სოციალურად დაუცველ (0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე) ბენეფიციართა C ჰეპატიტის დადგენის (ექიმთან ვიზიტი+HCV RNA) დიაგნოსტიკის თანადაფინანსება;

C ჰეპატიტის დადგენის (ექიმთან ვიზიტი+HCV RNA) დიაგნოსტიკის თანადაფინანსება;

სოციალურად დაუცველ (0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე) ბენეფიციართა ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დადგენა (სისხლის საერთო, ALT, AST), ელასტოგრაფია) თანადაფინანსებით ;

ღვიძლის ფიბროზის ხარისხის დადგენა (სისხლის საერთო, ALT, AST), ელასტოგრაფია) თანადაფინანსებით ;

სოციალურად დაუცველ (0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე) ბენეფიციართა მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევების თანადაფინანსება;



ბენეფიციართა მკურნალობის კომპონენტში ჩართვამდე საჭირო კვლევების თანადაფინანსება;

